



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მ ი ნ ი ს ტ რ ი



KA100156320924817

თბილისი

27 / ნოემბერი / 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01/1356

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს
ცენტრალურ აპარატში არსებული 2 (ორი) ვაკანტური თანამდებობის
დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის შეწყვეტისა და
აღნიშნულთან დაკავშირებით განსახორციელებელი ქმედებების შესახებ**

„საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) პირველადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის, სამინისტროს ცენტრალურ აპარატში არსებული 2 (ორი) ვაკანტური თანამდებობის (პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და პირველადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული დეპარტამენტის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის) დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის ნ. გუჯაბიძის 2017 წლის 27 ნოემბრის N15599 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეწყვეტილ იქნეს სამინისტროს ცენტრალურ აპარატში არსებული 2 (ორი) ვაკანტური თანამდებობის (პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და პირველადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული დეპარტამენტის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის) დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსი.

2. ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული კონკურსის შეწყვეტასთან დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანხმად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს:


ა) „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში არსებული 2 (ორი) ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2017 წლის 2 ნოემბრის N01/1280 ბრძანება;

ბ) „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში არსებული 2 (ორი) ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2017 წლის 7 ნოემბრის N01/1296 ბრძანება;

გ) „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში არსებული 2 (ორი) ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2017 წლის 10 ნოემბრის N01/1314 ბრძანება.

3. სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მეორადმა სტრუქტურულმა ერთეულმა - საორგანიზაციო უზრუნველყოფისა და რესურსების მართვის სამმართველომ უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული კონკურსის შეწყვეტიდან გამომდინარე შესაბამისი ქმედებების განხორციელება.
4. სამინისტროს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველომ (სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მეორად სტრუქტურულ ერთეულ - საორგანიზაციო უზრუნველყოფისა და რესურსების მართვის სამმართველოსთან შეთანხმებით) უზრუნველყოს სამინისტროს ვებ-გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსება, ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული კონკურსის შეწყვეტის თაობაზე.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი



ტარიელ ხენიკაშვილი